

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვით შეფასების დეპარტამენტს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „Portal“-ის (ს/კ 404989241, რეგისტრირებული: თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გამრეკელის ქ., №19, ოფისი №44, (დირექტორი ნოდარი ხუხაშვილის მინდობილი პირი) ვლადიმერ ცხვიტარიას

ელ.ფოსტა. ladotskhvitaria@gmail.com
მობ: 595 78-58-38 (ლადო).

სკრინინგის განცხადება

გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „Portal“ (რეგისტრირებული: თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გამრეკელის ქ., №19, ოფისი №44), გეგმავს ავტოგასამართი სადგურის მოწყობას მცხეთის მუნიციპალიტეტი სოფელ ლისში, (GPS კოორდინატში X=474170.00; Y=4622340.00).

ავტოგასამართი სადგურიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებული იქნება 50 მეტრით.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „Portal“-ს მიერ დაგეგმილი ავტოგასამართი სადგურის მოწყობასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს: მცხეთის მუნიციპალიტეტი სოფელ ლისი, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია 72.16.18.985 და წარმოადგენს მის კუთვნილ ტერიტორიას. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს 864 მ², მოსწორებულ, ასფალტირებულ, გზის პირზე მდებარე მიწის ნაკვეთს (იხ დანართში სურათები).

აღნიშნული ტერიტორია დღევანდელი მდგომარეობით არის ცარიელი აუთვისებელი, მას ორი მხრიდან ესაზღვრება ასფალტირებული საავტომობილო გზა, სამხრეთ მხარეს 80 მეტრში ესაზღვრება შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს ობიექტი, ჩრდილოეთ მხარეს 50 მეტრი მანძილიდან კერძო საკუთრებაში არსებული სამოსახლო ტერიტორიები, დასავლეთის მხრიდან სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, აღმოსავლეთის მხრიდან ცარიელი ტერიტორიები.

ტერიტორიაზე დაგეგმილია ბენზინ-დიზელ გასამართი სადგურის და კომერციული ფართის მშენებლობა.

ტერიტორიაზე საოპერატორო შენობაში სადაც დამატებით იქნება კომერციული ფართიც, იქ მოეწყობა საპირფარეო. კანალიზაციის კოლექტორები არ არის ახლომხლო და გაკრეთდება ბეტონის ამოსაწმენდი ორმო. წყალმომარაგების სისტემა არ არის, ამიტომ წყლის მომარაგებისათვის დადიდგმება წყლის ავზი 5-6 ტონიანი საყოფაცხოვრებო დანიშნულების, რომელიც მომარაგდება ავტოცისტერნებით. საწვავის ავზი განთავსდება



ბეტონის სარკოფაგში ერთი ცალი ცისტერნა და დაიყოფა სხვადასხვა პროდუქტებად, საწვავსარიგებელი სვეტი განთავსდება ერთი ცალი რომლიდანაც მოხდება ბენზინის და დიზელის რეალიზაცია, ტერიტორიაზე მოეწყობა წყალშემკრები დრენაჟი ფარდულის ქვეშ და დაერთდება სალექარზე. ასევე ტერიტორიაზე განთავსდება მეხამრიდი და სახანძრო წყლის რეზერვუარი.

კერძოდ, მიწის ქვემოთ განთავსებული იქნება ქარხნული წარმოების 50 მ³ მოცულობის ცისტერნა, რომელიც გაყოფილი იქნება ოთხ ნაწილად: 15 მ³ მოცულობა „პრემიუმ“ კლასის ბენზინისათვის, 15 მ³ მოცულობა „ევრო რეგულარული“ კლასის ბენზინისათვის, 7 მ³ „ევრო დიზელის“ საწვავისათვის და 13 მ³ დიზელის საწვავისათვის.

დანადგარს ექნება ერთი სარიგებელი სვეტი 4 პისტალეტისანი, რომელიც ორი გათვალისწინებულია ბენზინის, ხოლო ორი დიზელის საწვავის გაცემისათვის.

ავტოგასამართ სადგურზე იგეგმება 4 ტიპის საწვავის რეალიზაცია, პრემიუმ და რეგულარული ტიპის ბენზინის საწვავისა და ევრორეგულარი და დიზელის საწვავისათვის.

აღნიშნული დანადგარი უნდა განთავსდეს ტერიტორიაზე, მოეწყოს ბეტონის საფარი და კონკრეტულად ავტომობილის სადგომ მოედანზე დამატებით მოეწყობა წყალშემკრები დრენაჟი (ფარდულის ქვეშ) სადაც არ ხვდება წვიმის წყალი და დაერთებული იქნება გამწმენდ ნაგებობაზე (სალექარზე) რომ არ მოხდეს შემთხვევით დაღვრილი საწვავის პირდაპირი სახით ბუნებაში მოხვედრა, ხოლო თუ მაინც მოხდება საწვავის დაღვრა, ის ავტომატურად მოხვდება სალექარში და სალექარიდან კანონის შესაბამისად ამოტუმბავენ

ჩამოწერენ და მოახდენენ უტილიზაციას. ასევე დამატებით გაგიმარტავთ სალექარი თავისი მახასიათებლებით წარმოადგენს ლითონის დახურულ ჭურჭელს, რომელიც ჩვენ შემთხვევაში არის ჩაკეტილი (ვინაიდან ახლომახლო არ არსებობს სანიაღვრე ქსელი, სადაც შეიძლება აღნიშნული სალექარის დაერთება) და მხოლოდ საწვავის მოხვედრის შემდეგ მოხდება მისი გასუფთავება დაცლა.

საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სახანძრო წყლისთვის 50 ტონიანი რეზერვუარის მიწაში განთავსება, რომელიც აღნიშნული დანადგარიდან მომორებით გზის გასწვრივ განთავსდება და ხანძრის შემთხვევაში სახანძრო შეძლებს ისარგებლოს დამატებითი წყლის რესურსით.

საწვავმარიგებელი სვეტები პროექტის მიხედვით დამონტაჟებული იქნება დახურულ ტერიტორიაზე, რომელიც დაკავშირებული იქნება თანამედროვე პლასტიკის მილებით საწვავის ავზთან.

ტერიტორიაზე აშენდება საოპერატორო შენობა, სადაც დამატებით იქნება კომერციული ფართი იქ მოეწყობა საპირფარეშო.

გზის გასწვრივ განთავსდება ფასმაჩვენებელი დაფა ელ.სანათებით.

საწვავის მიღება პროექტით დაგეგმილია ავტოცისტერნის საშუალებით, რომელიც უნდა დაერთდეს ტერიტორიაზე განთავსებულ ჩამსხმელ დგარზე.

რეზერვუარი განთავსებული იქნება მიწის ქვემოთ. მათი „სასუნთქი სარქველები“-ს სიმაღლე H=3.0 მ და დიამეტრი D=0.05 მ. რეზერვუარი დაფარულია ანტიკოროზიული ნივთიერებებით.

ავტოგასამართი სადგური გათვალისწინებულია ბენზინისა და დიზელის საწვავის მომხმარებელზე რეალიზაციისათვის, რომლის წლიური მაქსიმალური ჯამური რაოდენობა მოსალოდნელია 912.5 მ³ ოდენობით, საიდანაც 328.5 მ³ დიზელის საწვავი და 584 მ³ ბენზინის საწვავი.

საწარმო საწვავს მიიღებს ავტოცისტერნების საშუალებით და გადაიტანს მას მიწისქვეშა რეზერვუარებში.

რეზერვუარებიდან საწვავი მიეწოდება ავტოგასამართ სვეტებს, საიდანაც ხდება მისი ავტომანქანების ბაკებში (ავზებში) გადასსმა.

ტერიტორიაზე გათვალისწინებულია მეხამრიდის განთავსება, რომელიც დაფარავს საოპერატორო შენობას და ფარდულს თავისი მოქმედების არეალით. აღსანიშნავია, რომ საწვავის მიღებისას უნდა მოხდეს ავტოცისტერნის დაერთება დამიწების ჭანჭიკზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს საწვავის მიღების პროცესი.

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს: ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები. ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადების მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების მიღებისას.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წყალი საწარმოო მიზნებისათვის არ გამოიყენება, წყალი გამოიყენება მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის და სახანძრო მიზნებისათვის. წყლის მომარაგება მოხდება ავტოცისტერნით და ჩაისხმება 6 ტონიან წყლის რეზერვუარში, რომელიც განთავსებული იქნება საოპერატორო შენობის სახურავზე. საყოფაცხოვრებო-სამეურნეო წყლების ჩაშვება განხორციელდება ბეტონის ამოსაწმენდ ორმოში. რაც შეეხება სახანძრო მიზნებისათვის წყლის გამოყენება განხორციელდება 50 ტონა მოცულობის სახანძრო ავზიდან.

რადგან ავტოგასამართი სვეტები განთავსებული იქნება ზემოდან დახურული ფარდულის ტიპის შენობაში, ამიტომ სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი ნავთობპროდუქტებით არ არსებობს.

ბენზინგასამართი სადგური აღიჭურვება ცეცხლმაქრებით და სახანძრო ავზით.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მოწყობილი იქნება ნარჩენების განთავსებისათვის უბანი, სადაც განთავსებული იქნება ნაგვის ურნები დასტიკვებულ სხვადასხვა ნარჩენებისთვის ინდივიდუალურად.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან ავტოგასამართი სადგურის სპეციფიკიდან გამომდინარე არ იგეგმება მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანაგარის ქონა.

დაგეგმილი ავტოგასამართი სადგურის საამშენებლო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ხე მცენარეები, გარდა რამოდენიმე ბუჩქოვანი მცენარისა. ასევე საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები.

საქმიანობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოგარენში ასევე მის სიახლოვეს არ არის ჭარბტენიანი ტერიტორიები, ამდენად მასზე ზეგავლენა არ არის მოსალოდნელი.

საქმიანობის სპეციპიკის, მასშტაბის და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რაიმე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის პერიოდში მიწის სამუშაოების წარმოებისას ნაყოფიერი ფენის არსებობის შემთხვევაში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა სრული კანონმდებლობის დაცვით დასაწყობებული იქნება.

ავტოგასამართ სადგურში ძირითადად დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

საწარმოს ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში დამკვეთის მოთხოვნით სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისას და ფუნქციონირებისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსები არ იქნება გამოყენებული.

ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისას მოსალოდნელია უმნიშვნელო რაოდენობით საამშენებლო მასალების წარმოქმნა ნარჩენების სახით, ხოლო ოპერირებისას მოსალოდნელია პრაქტიკულად მხოლოდ უმნიშვნელო საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა (წელიწადში მაქსიმუმ 1.0 მ³-ის ოდენობით). აღნიშნული ნარჩენებისა და ასევე რაიმე სახის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ ჩვრები და სხვა) მათი მართვა განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული მოთხოვნების გათვალისწინებით, კერძოდ მათი დროებითი განთავსება, ტრანსპორტირება და გადაცემა შესაბამისი ნებართვების მქონე ორგანიზაციებზე.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას კულმინაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან მის უშუალო სიახლოვეს ანალოგიური ტიპის ავტოგასამართი სადგური არ არის.

ავტოგასამართი სადგურის ოპერირებისას ავარიული სახით შესაძლებელია მოხდეს თხევადი საწვავის გაცემისას მათი დაღვრა. ავტოგასამართი სადგურის გასაცემი სვეტების მოედანის გარე პერიმეტრი მოწყობილია არხებით, რომელიც შეერთებული მიწისქვეშა ავზთან, სადაც დაღვრის შემთხვევაში ისინი მოხვდებიან. ამით აცილებული იქნება მათი გარემოში მოხვედრა და გარემოს დაბინძურება. აღნიშნული დაღვრილი ნავთობპროდუქტების რეზერვუარში დაღექვის შემდეგ. ისინი ამოღებული იქნება, ხოლო დარჩენილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამი განთავსდება კონტეინერში და შემდგომ უტილიზაციაზე გადაეცემა ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნიათ შესაბამისი ნებართვა. ასევე სახანძრო უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებული იქნება სახანძრო დაფები ცეცხლმაქრებით და წყლის ავზი.

პატივისცემით,

ვლადიმერ ცხვიტარია

(მინდობილი პირი)

